მოხალისეობა,
როგორცსოციალურიპრაქტიკათანამედროვექართულსაზოგადოებაში

თამარ ნოსელიძე

„სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერება და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოთხოვნის შესაბამისად“

პროგრამა: სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა კირვალიძე - სოციოლოგიის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ნოსელიძე

07.04.2015

აბსტრაქტი

მოხალისეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს დემოკრატიულ საზოგადოებაში. ხელს უწყობს ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებისფორმირებას,ცნობიერების ამაღლებას დასამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას. მოხალისეებს შეუძლიათ გააძლიერონ ჩართულობის მობილიზება და ერთობლივი მუშაობით გადაჭრან საზოგადოებრივი საკითხები. რაც ხელს უწყობს დემოკრატიზაციის პროცესს.

მოხალისეობა როგორც კულტურული და ეკონომიკური ფენომენი, არის საზოგადოების ორგანიზებულობის ნაწილი და თავის მხრივ დაკავშირებული არის სოციუმში განაწილებული პასუხისმგებლობებთან, რამდენად არიან მოქალაქეები ჩართულნი და მონაწილეობას იღებენ სოციალური საკითხების გადაწყვეტაში.შესაბამისად საზოგადოებაში არსებულ მოხალისეობრივი კულტურის დონეს უკავშირებენ სამოქალაქო თვითშეგნების დონესთან. სახელმწიფოს და საზოგადოების როლი არის ის მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც განსაზღვრავს მოხალისეობის დონეს ქვეყანაში.

წარმოდგენილი კვლევის ანგარიშის მიზანია შეისწავლოს საქართველოს მოქალაქეების მოხალისეობასთან დაკავშირებულიატიტუდები და სოციალური პრაქტიკები, მათი სამოქალაქო აქტივობისა და ჩართულობის დონე პოლიტიკურ, რელიგიურ და კულტურულ სფეროებში. ასევე კვლევა გასცემს პასუხს კითხვაზე მოქალაქეებისთვის რა უფრო დამახასიათებელია, სამოქალაქო აქტივობის თვითნებური ინდივიდუალური პრაქტიკები, თუ ინსტიტუციური მოწესრიგებული კოლექტიური აქტივობის ფორმები.

კვლევაში გამოყენებულია (CRRC) საქართველო, კვლევითი რესურს ცენტრის მიერ 2011 და 2014 წელს ჩატარებული კვლევების „მოხალისეობა და სამოქალაქო ჩართულობა“-ს მონაცემები. რაც შეეხება მეთოდოლოგიას, კვლევაში გამოყენებული

იყო რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, კვლევითი ტექნიკა- პირისპირ ინტერვიუების კომპიუტერული მეთოდი (CAPI) და დაბეჭდილი კითხვარები (PAPI).

მიღებული კვლევის შედეგები საშუალებას მოგვცემს მივიღოთ ინფორმაცია რამდენად არიან მოქალაქეები ჩართულნი და მონაწილეობას იღებენ სოციალური საკითხების გადაწყვეტაში. გაიზარდა თუ არა, და როგორ, საქართველოში სამოქალაქო და მოხალისეობრივ აქტივობებში ჩართულობის დონე რელიგიურ, პოლიტიკურ, კულტურულ სფეროებში ბოლო 3 წლის განმავლობაში.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები:სამოქალაქოაქტივობა, ჩართულობა, მოხალისეობა,სოციალური პრაქტიკა.

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ანა კირვალიძეს, სამაგისტრო ნაშრომის წერის მომზადების პროცესში გაწეული დახმარებისათვის.